PDF Eraser Free

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა შპს საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიული კოლეჯის საგანმანათლებლო პროგრამების „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ და „კომპიუტერული ქსელის ადმინისტრირება“ მონიტორინგის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: დიანა გახარია

წევრი:
ვანო ოთხოზორია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

PDF Eraser Free

დაწესებულების სახელწოდება: **შპს საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიული კოლეჯი**

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: **შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება**

საიდენტიფიკაციო კოდი: [redacted]

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

☒ **პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება/კოლეჯი**

<u>ადმინისტრაციული წარმოების სახე (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა):</u>

☐ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდა

☐ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილება

☐ საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირება

☒ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმება

- ☐ **გეგმიური**
- ☒ არაგეგმიური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

III. ინფორმაცია პროფესიული სტუდენტების შესახებ

PDF Eraser Free

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	შესაბამისი საბჭოს მიერ განსაზღვრული პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობა	აქტიური პროფესიული სტუდენტების რაოდენობა	სტატუსშეჩერებული პროფესიული სტუდენტების რაოდენობა
კომპიუტერული ქსელი და სისტემები	15	5	-
კომპიუტერული ქსელის ადმინისტრირება	15	2	-

შენიშვნა: სტუდენტების მიმდინარე რაოდენობის დასადგენად, დისტანციური ჩართვის დროს დაწესებულებამ უზრუნველყო პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების მართვის სისტემის - ბაზის მონაცემების ჩვენება.

IV. საერთო მიმოხილვა

შპს საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიული კოლეჯს 2019 წელს მოიპოვა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ და „კომპიუტერული ქსელის ადმინისტრირება“ ავტორიზაცია, თითოეულზე 15 პროფესიული სტუდენტის ზღვრული ოდენობით. მიმდინარე ეტაპზე დაწესებულებამ შესაბამისი განაცხადით მიმართა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს აღნიშნულ პროგრამების განხორციელების ფორმის ცვლილების (დუალური მიდგომით) შესახებ, თითოეულზე 15-დან 5 პროფესიული სტუდენტის ფარგლებში. აღნიშნული განაცხადის საფუძველზე, მონიტორინგის თაობაზე გამოცემული ცენტრის დირექტორის 2021 წლის 16 მარტის MES 9 21 0000238602 ბრძანების თანახმად შექმნილ ექსპერტთა ჯგუფს დაევალა ზემოთხსენებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის ბ.ა) და ბ.ბ) კომპონენტების შესრულების შემოწმება, დისტანციური ადმინისტრაციული წარმოების განხორციელების გზით.

ექსპერტების ჯგუფმა შეისწავლა შპს საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიული კოლეჯის მიერ განაცხადით წარმოდგენილი და შემდგომში დამატებით წარმოდგენილი დოკუმენტაცია, ჩამოაყალიბა დამასუსტებელი შეკითხვები ღიად დარჩენილი საკითხებისთვის, შეაჯერა განხილული საკითხები და შეიმუშავა დისტანციურ რეჟიმში წარსამართი შეხვედრის განრიგი, რომელიც სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ შეთანხმებული იქნა შპს საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიული კოლეჯის ადმინისტრაციასთან.

შეხვედრის განრიგის თანახმად, ექსპერტების ჯგუფსა და დაწესებულების წარმომადგენელებს შორის დისტანციური კომუნიკაცია, თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით, შედგა 2021 წლის 29 მარტს. ექსპერტები გაესაუბრნენ დაწესებულების 4 წარმომადგენელს: დირექტორი, ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი, „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ხელმძღვანელი, პროფესიული მოდულების განმახორციელებელი. ასევე, ინტერვიუ შედგა პარტნიორი კომპანიების წარმომადგენლებთან.

ინტერევიურებისას გამოიკვეთა ზოგიერთი დოკუმენტის წარმოდგენის აუცილებლობა, შესაბამისად გასაუბრების ეტაპზე დაწესებულებამ, ცენტრის საშულებით, მიაწოდა ექსპერტებს გარკვეული დოკუმენტები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

VI. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

PDF Eraser Free

არ გამოვლენილა

VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება და აღწერა

წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული იმ რეკომენდაციის შესახებ, რომლის შესრულების შემოწმება კავშირშია მიმდინარე წარმოებასთან:

2.2.1 - 3. „კომპიუტერული ქსელის ადმინისტრირების“ და „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ პროგრამის პროფესიული განათლების მასწავლებლებს *„მოდულის განხორციელების სპეციფიკის და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების საკითხებში არ აქვთ სრულყოფილი ინფორმაცია, ამის გათვალისწინებით სასურველია დაწესებულებამ სისტემური მიდგომით მოახდინოს პროგრამის განხორციელებისთვის პროფესიული მასწავლებლების მომზადება: დაიგეგმოს ტრენინგების ციკლი სასწავლო და შეფასების პროცესის დაგეგმვისა და განხორციელებისთვის აუცილებელი საწარმოებელი დოკუმენტების შედგენა/წარმოების უზრუნველსაყოფად.“*

დაწესებულების წარმომადგენლების განმარტებით, წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების მიზნებისთვის კოლეჯი აწარმოებს მოლაპარაკებას სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრთან და დაგეგმილია ინტენსიური კურსის ჩატარება.

VIII. დაფიქსირებული ხარვეზების შეჯამება

არ დაფიქსირებულა

IX .სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

არ გაცემულა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

X. განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

PDF Eraser Free

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები: „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ და „კომპიუტერული ქსელის ადმინისტრირება“

მე-2 სტანდარტი, ინდიკატორი 2.1.1 – 1

ვინაიდან, პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთების დოკუმენტის ასლი იტყობინება, რომ კოლეჯი იკვლევს შრომის ბაზარს და ატარებს სხვადასხვა კომპანიების გამოკითხვებს, ექსპერტები მიიჩნევენ, უმჯობესია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების მიზნებისთვის, ჩატარებული გამოკითხვის ანალიზი/სტატისტიკური მონაცემები/დამუშავებული ინფორმაცია გამოყენებული იქნას პროგრამების განხორციელების მიზანშეწონილობის დასასაბუთებლად.

მე-2 სტანდარტი, ინდიკატორი 2.1.1 – 2

ვინაიდან დუალური მიდგომით განხორციელებად პროგრამაზე პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვებასთან დაკავშირებით, საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულებას, ბრძანებასა და პარტნიორ კომპანიასთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში ვხვდებით სხვადასხვა ჩანაწერებს, ექსპერტების შეფასებით, საჭიროა დაწესებულებამ უზრუნველყოს მის მიერ დამტკიცებული რეგულაციების და გაფორმებული ხელშეკრულებების მიმდინარე საკანონმდებლო აქტებთან და ერთმანეთთან თანხვედრაში მოყვანა. ასევე, მიზანშეწონილია დუალური მიდგომით განხორციელებად პროგრამებზე სტუდენტის სტატუსის მოპოვებასთან დაკავშირებული რეგულაცია მოიცავდეს პროცედურულ ინფორმაციას მიღების გამოცხადების, რეგისტრაციის და შერჩევის პირობების შესახებ.

პროფესიული საგანანმანათლებლო პროგრამის „კომპიუტერული ქსელის ადმინისტრირება“ შემთხვევაში , ვინაიდან დაგეგმილია პარტნიორი კომპანიის მონაწილეობა მიღების პროცედურებში, ხოლო მის წარმომადგენელთან გასაუბრებისას შეინიშნება ინფორმაციის სიმწირე მიღების ეტაპების თანმიმდევრობასთან დაკავშირებით, სასურველია დაწესებულებამ უზრუნველყოს პარტნიორი კომპანიის უფლებამოსილი წარმომადგენლებისთვის ჩარიცხვის პირობების (პროცედურისა და პროცედურის თანმიმდევრობის) შესახებ სრულყოფილი ინფორმაციის მიწოდება და საჭირო საკითხებზე/ეტაპებზე შეთანხმება.

მე-2 სტანდარტი, ინდიკატორი 2.1.1 – 3

ვინაიდან „პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის“ სხვადასხვა პუნქტებში მითითებულია სხვადასხვა კრიტერიუმები და ზოგიერთ შემთხვევაში პუნქტები ერთმანეთს ფარავენ, ექსპერტების შეფასებით, საჭიროა დოკუმენტის დახვეწა - გამოსაკვეთია პროგრამაზე პროფესიული სტუდენტების ზღვრული ოდენობის გამოსაანგარიშებლად პრაქტიკულად გამოყენებული კრიტერიუმები. ხოლო დაწესებულების საერთო კვოტა არ საჭიროებს ცალკე დაანგარიშებას, ვინაიდან ის წარმოადგენს განხორციელებად პროგრამებზე პროფესიული სტუდენტების ზღვრული ოდენობების ჯამს. ასევე, რეკომენდებულია კოლეჯმა განიხილოს ზემოხსენებულ მეთოდოლოგიაში არსებული ჩანაწერის საჭიროება 20 პროფესიულ სტუდენტზე მინიმუმ 1 მასწავლებლის არსებობის შესახებ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

მე-2 სტანდარტი, ინდიკატორი 2.1.1 – 8

PDF Eraser Free

ინდიკატორის ფარგლებში შესწავლილი დოკუმენტების ანალიზის საფუძველზე, ექსპერტების შეფასებით, აუცილებელია პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის ადაპტირებისთვის იმგვარი მექანიზმის შემუშავება, რომელიც უზრუნველყოფს ტექნიკური ხასიათის შეცდომების და ჩანაწერებში უზუსტობების პრევენციას. რეკომენდებულია ცენტრის გზამკვლევების გამოყენება პროგრამის ადაპტირებისას.

ამასთან ვინაიდან დუალური მიდგომით პროგრამის განხორციელებისას, ზოგიერთი მოდული/სწავლის შედეგი ისწავლება დაწესებულებაში, ხოლო ზოგიერთი - პარტნიორ კომპანიაში (რაც ასახულია სწავლის შედეგების განაწილების ცხრილში, მაგრამ არ წარმოადგენს პროგრამის ნაწილს), უმჯობესია აღნიშნულის შესახებ ინფორმაცია დატანილი იქნას რომელიმე დამტკიცებულ/ხელმოწერილ დოკუმენტში:

- პარტნიორ კომპანიასთან გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამის ნაწილში (მაგ. მის დანართად იქნეს ფორმირებულ სწავლის შედეგების განაწილების ცხრილი);
- ან პროგრამაში ან/და სასწავლო გეგმებში, რაიმე სახის აღნიშვნის გზით, იდენტიფიცირებადი გახდეს კომპანიისა და კოლეჯის ბაზაზე განხორციელებადი მოდულები/მოდულების ნაწილები.
- ან იმგვარი ალტერნატივა, რომლითაც უზრუნველყოფილი იქნება დაწესებულებასა და კომპანიას შორის განაწილებული მოდულების/სწავლის შედეგების და მათი განხორციელების/მიღწევისა და შეფასების ადგილისა და სხვა თავისებურებების შესახებ ინფორმაციის ამოღება.

მე-2 სტანდარტი, ინდიკატორი 2.2.1 – 6

სსსმ პროფესიულ სტუდენტების სასწავლო რესურსით უზრუნველყოფის თაობაზე დაწესებულების მიდგომის აღსაწერად, ექსპერტების მოსაზრებით, სასურველია დაწესებულებამ რეგულაციაში დააზუსტოს შესაბამისი პუნქტები - განმარტოს/აღწეროს რესურსების ადაპტირების/ დამატებითი მომსახურეობის შემთხვევები და განსაზღვროს პროცესზე პასუხისმგებელი პირ/ები/ი.

მე-2 სტანდარტი, ინდიკატორი 2.2.1 – 7

ექსპერტების შეფასებით, ვინაიდან წარმოდგენილი ბიუჯეტი არ მოიცავს დაწესებულების მიერ გაჟღერებულ ინფორმაციას წარმოდგენილი პროგრამების ფარგლებში ვაუჩერული დაფინანსების არსებობის შესახებ, აუცილებელია დაზუსტდეს შემოსავლების როგორც სახეობა, ასევე ოდენობა და განისაზღვროს პროგრამის განხორციელების რენტაბელობის რეალური ზღვარი - ის მინიმუმი, რომლის შემთხვევაშიც პროგრამა ფინანსურად მდგრადია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

1-ლი სტანდარტი ინდიკატორი 1.1.1 – 2

PDF Eraser Free

კოლეჯის მიერ განხორციელებადი პროგრამების მიმართულების გათვალისწინებით, ექსპერტების რეკომენდაციაა დაწესებულებამ გადახედოს მისიას, მისი პროფილის გამოკვეთის მიზნით; ამასთან მიზანშეწონილია გათვალისწინებული იქნას პროფესიული განათლების სპეციფიკა „უნარებზე“ და არა „ცოდნაზე“ ორიენტირებულების თვალსაზრისით.

დისტანციური ადმინისტრაციული წარმოებისთვის დამახასიათებელი გარემოების შესახებ სხვადასხვა ინდიკატორების ფარგლებში შესწავლილ დოკუმენტებთან დაკავშირებით:

<u>გამოკვეთილი უზუსტობები:</u>

- დოკუმენტი წარმოდგენილია დამტკიცების აქტის რეკვიზიტების გარეშე ტექსტური რედაქტორის ფორმატით/რედაქტირებადი ფორმატით; დოკუმენტის და დოკუმენტში ხსენებული დოკუმენტის თარიღები შეუსაბამოა (სტრატეგიული განვითარების 7 წლიანი გეგმა; პარტნიორთა კრების ოქმი; შეთანხმების დოკუმენტი);
- დოკუმენტები წარმოდგენილია იდენტური/არასრული რეკვიზიტებით (პროფესიული კოლეჯის აკადემიურ საბჭოს სხდომის ოქმები N01/21; 01/19);

<u>უზუსტობების თავიდან აცილების მიზნით გაცემული რეკომენდაციები:</u>

- დაწესებულებამ დოკუმენტების შემუშავებისას გამოიყენოს იმგვარი მექანიზმი, რომელიც გამორიცხავს შედგენილი აქტების რეკვიზიტების დუბლირებას და დოკუმენტით იდენტიფიცირებადი იქნება მისი დამტკიცების აქტის რეკვიზიტები;
- მტკიცებულებების წარსადგენისას იხელმძღვანელებს დამტკიცებული დოკუმენტის დასკანერებული ან კვალიფიციური ხელმოწერილი ვერსიებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

XII. ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

PDF Eraser Free

პროგრამის სახელწოდება	კომპიუტერული ქსელი და სისტემები
პროფესიული განათლების საფეხური / დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია კომპიუტერულ ქსელსა და სისტემებში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0612
პროგრამის დამტკიცების/ცვლილების აქტის რეკვიზიტები	*საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიული კოლეჯის აკადემიური საბჭოს სხდომის ოქმები:* N01/19 – 24 მაისი, 2019 - დამტკიცების შესახებ N03/19 – 19 სექტემბერი, 2019 - ტექნიკური ხარვეზების გასწორების შესახებ N01/21 – 1 თებერვალი, 2021 - დუალური მიდგომით განხორციელების შესახებ
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	თბილისი, ბაგრატიონის ქუჩა N6
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური და დუალური
პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა	10 მოდულური, 5 დუალური
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში)*.	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	95
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	125

ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ:

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

XIII. პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

PDF Eraser Free

სტანდარტი/კომპონენტი	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება
2) საგანმანათლებლო პროგრამები	(დაწესებულების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება)	(ექსპერტების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება)
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება		შეესაბამება
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი		შეესაბამება

სტანდარტის შეფასება

პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება.

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად.

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

PDF Eraser Free

1. წინამდებარე ინდიკატორის შემოწმების მიზნებისთვის, ექსპერტებმა შპს საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიული კოლეჯიდან, ცენტრის მეშვეობით, გამოითხოვეს სტრატეგიული განვითარების გეგმა და მისია, რის ნაცვლადაც ექსპერტებს წარედგინათ ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, რომელიც არ იქნა შესწავლილი ექსპერტების მიერ, ვინაიდან არ წარმოადგენს ინდიკატორის ინტერესს. მოგვიანებით, დაწესებულებასთან გასაუბრების დროს, სტრატეგიული განვითარების გეგმისა და მისიის შესახებ დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ კოლეჯში შემუშავებულია მისია და 6 წლიანი სტრატეგიული განვითრების გეგმა, თუმცა მყისიერად, ცენტრის საშუალებით, ექსპერტებს მიეწოდათ 7 წლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა - ტექსტური რედაქტორის ფაილის სახით. აღნიშნულ ფაილში მოცემული ორი სტრატეგიული მიზნიდან ერთ-ერთის ფარგლებში განსაზღვრულ 3 ამოცანას შორის ვხვდებით *„შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისა და ტრენინგების შემუშავება და შეთავაზება“.*

„კოლეჯის მისიაა ჩამოყალიბდეს ცოდნაზე ორიენტირებულ კოლეჯად, რომელიც იხელმძღვანელებს რა სამართლიანობის და ჰუმანიზმის პრინციპებით, განათლებისა და დასაქმების სფეროში წარმატების მისაღწევად ითანამშრომლებს დამსაქმებლებთან და საზოგადოების ყველა დაინტერესებულ პირთან; ასევე თითოეულ პროფესიული სტუდენტს შესთავაზოს ხელმისაწვდომი, სრულფასოვანი, თეორიული და პრაქტიკული ცოდნის მისაღებად განკუთვნილი ხარისხიანი სასწავლო გარემო, რომელიც ხელს შეუწყობს შრომის ბაზართან ადაპტირებული, კონკურენტუნარიანი კადრების მომზადებას თვითრეალიზაციის პერსპექტივითა და შემდგომი დასაქმების უზრუნველყოფით“.

ექსპერტების მოთხოვნით, ასევე წარმოდგენილი იქნა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზანშეწონილობის დოკუმენტი, რომელიც მოწოდებული იქნა დამოწმებული ასლის სახით და რომელშიც გაჟღერებულია ინფორმაცია სხვადასხვა კომპანიების გამოკითხვიდან, IT მიმართულებით კადრების ნაკლებობის გამოკვეთის შესახებ და რომ წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება განპირობებულია აღნიშნული მიმართულებით ბაზარზე არსებული მოთხოვნებით.

2021 წლის 1 თებერვალს, საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიული კოლეჯის აკადემიურ საბჭოს სხდომის ოქმით N01/21 მიღებულ იქნა გადაწყვეტილება - პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ სწავლების ფორმაში ცვლილების შესახებ - დუალური მიდგომით განხორცილების მიზნით. ოქმის ჩანაწერების მიხედვით, პროგრამის ხელმძღვანელი განმარტავს, რომ *„დუალური განათლება პროფესიული განათლების ერთ-ერთი ფორმაა და სტუდენტი ამ შემთხვევაში ორ ადგილას სწავლობს: პროფესიულ სასწავლებელში ის მომავალ პროფესიასთან დაკავშირებულ თეორიულ მასალას ეუფლება, ხოლო საწარმოში ან კომპანიაში პრაქტიკულ ნაწილს ეუფლება. ამ მიდგომის შედეგად სტუდენტი თეორიულთან ერთად პრაქტიკულ ცოდნასაც იღებს და კონკურენტუნარიანი ხდება შრომის ბაზარზე“.* კოლეჯის დირექტორის მოსაზრებით, *„სწავლების დუალური ფორმა უფრო კონკურენტუნარიანს გახდის პროგრამებს და ამასთანავე, პროფესიული სტუდენტები მეტად მომზადებულნი პოტენციური დასაქმებულები იქნებიან“.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

ამგვარად, შესწავლილი გარემოებების მიხედვით, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ დუალური მიდგომით განხორციელება არ ეწინააღმდეგება კოლეჯის მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას და მიზანშეწონილობის დოკუმენტი ასახავს პროგრამის მოთხოვნადობას.

PDF Eraser Free

ვინაიდან, პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთების დოკუმენტის ასლი იტყობინება, რომ კოლეჯი იკვლევს შრომის ბაზარს და ატარებს სხვადასხვა კომპანიების გამოკითხვებს, ექსპერტები მიიჩნევენ, უმჯობესია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების მიზნებისთვის, ჩატარებული გამოკითხვის ანალიზის/სტატისტიკური მონაცემების/დამუშავებული ინფორმაცია გამოყენებული იქნას პროგრამების განხორციელების მიზანშეწონილობის დასასაბუთებლად.

კოლეჯის მიერ განხორციელებადი პროგრამების მიმართულების გათვალისწინებით, ექსპერტების რეკომენდაციაა დაწესებულებამ გადახედოს მისიას, მისი პროფილის გამოკვეთის მიზნით; ამასთან მიზანშეწონილია გათვალისწინებული იქნას პროფესიული განათლების სპეციფიკა „უნარებზე“ და არა „ცოდნაზე“ ორიენტირებულების თვალსაზრისით.

2. **პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „კომპიუტერული ქსელის და სისტემები“ დაშვების წინაპირობა თანხვედრაშია პროგრამის შემუშავების საფუძველი ჩარჩო დოკუმენტით „ინფორმაციის ტექნოლოგია“ 06112-3 განსაზღვრულ მოთხოვნასთან - სრული ზოგადი განათლება.**

ექსპერტების მოთხოვნით, დაწესებულების მიერ დამატებით დოკუმენტებს შორის, წარმოდგენილი იქნა 2021 წლის 15 თებერვლის N03/21 ბრძანება „დუალური მიდგომით განხორციელებად პროგრამაზე ჩარიცხვის ზოგადი წესის“ სახელწოდებით, რომლის მე-2 პუნქტი განსაზღვრავს გასაუბრების კომისიის შემადგენლობას, ხოლო 1-ლი და მე-3 პუნქტებიდან იკითხება, რომ პროფესიული სტუდენტების ჩარიცხვის მიზნით, შესაძლებელია დაინიშნოს გასაუბრება კომისიასთან. ამასთან, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ დუალური მიდგომით განხორციელების მიზნით შერჩეული პარტნიორ კომპანიასთან - შპს „სქაი ჰაი“ 2021 წლის 1 თებერვალს გაფორმებული ხელშეკრულების 2 მუხლის 2.1 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი კოლეჯის ვალდებულების შესახებ ასეთია: *“კომპანიასთან ერთად უზრუნველყოს პროფესიული სტუდენტთა შერჩევის პროცედურების განხორციელება განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ დადგენილი წესით“.*

აღნიშნულთან დაკავშირებით, ექსპერტებმა განუმარტეს დაწესებულებას "პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 27 სექტემბრის №152/ნ ბრძანების მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის მოთხოვნის შესახებ („იმ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების 50% ან მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში, სწავლის უფლების მოპოვება ხდება მხოლოდ დაწესებულების მიერ ჩატარებული შესაბამისი კონკურსის საფუძველზე“), ხოლო დაწესებულების წარმომადგენელმა ექსპერტებს მიაწოდა ინფორმაცია „საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულების“ არსებობის შესახებ, რომელიც ასევე გასაუბრების დროს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

PDF Eraser Free

გამოგზავნილი იქნა ექსპერტებთან ტექსტური რედაქტორის სახით, ცენტრის მეშვეობით და მისი პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების შესახებ 23-ე მუხლის თანახმად: *„პროფესიულ საგანმანათლებო როგორც მოდულურ ისე დუალურ პროგრამაზე, ჩარიცხვა ხორციელდება წარმოდგენილი დოკუმენტების განხილვისა და კოლეჯის დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული გამოცდის ან/და გასაუბრების საფუძველზე. დუალურ პროგრამაზე მისაღებად, კონკურსის შემთხვევაში აუცილებელია მოხდეს კოლეჯის მიერ განსაზღვრული ტესტირების ჩატარება და შემდეგ გასაუბრება, ხოლო იმ შემთხვევაში თუ არ არის კონკურსი, მხოლოდ გასაუბრება იგეგმება, რომლის წევრებიც დგინდება დირექტორის ბრძანების საფუძველზე. ინფორმაცია გამოქვეყნდება კოლეჯის ოფიციალურ ვებ გვერდზე.“*

<u>ვინაიდან დუალური მიდგომით განხორციელებად პროგრამაზე პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვებასთან დაკავშირებით, სხვადასხვა დოკუმენტებში ვხვდებით სხვადასხვა ჩანაწერებს, ექსპერტების შეფასებით, საჭიროა დაწესებულებამ უზრუნველყოს მის მიერ დამტკიცებული რეგულაციების და გაფორმებული ხელშეკრულების მიმდინარე საკანონმდებლო აქტებთან და ერთმანეთთან თანხვედრაში მოიყვანა. ასევე, უმჯობესია დუალური მიდგომით განხორციელებად პროგრამებზე სტუდენტის სტატუსის მოპოვებასთან დაკავშირებული პროცედურების აღმწერი რეგულაცია მოიცავდეს პროცედურულ ინფორმაციას მიღების გამოცხადების, რეგისტრაციის და შერჩევის პირობების შესახებ.</u>

3. დაწესებულების მიერ, ექსპერტების მოთხოვნის საფუძველზე, წარმოდგენილი იქნა „პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია“, რომელზეც დატანილია ინფორმაცია *„დამტკიცებულია შპს საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიული კოლეჯის აკადემიური საბჭოს 01/19 ოქმით“* აღნიშნული რეგულაცია სხვადასხვა პუნქტებში ზღვრული ოდენობის განსაზღვრის სხვადასხვა კრიტერიუმებს ასახელებს, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში პუნქტები ერთმანეთს ფარავენ. ასევე მითითებულია დაწესებულების საერთო კვოტის გამოთვლის პრინციპი.

დაწესებულებამ ასევე წარმოადგინა პროგრამის განხორციელების ფორმის ცვლილებისა და კვოტის გაანგარიშების შესახებ საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიული კოლეჯის აკადემიური საბჭოს N01/21 ოქმი დათარიღებული 2021 წლის 1 თებერვალით. ოქმის ჩანაწერების მიხედვით, პროგრამის ხელმძღვანელებმა განმარტეს, რომ საინფორმაციო ტექნოლოგიების ასოციაციის დამხარებით მოძიებულ პარტნიორ კომპანიებთან ერთად, რომლებიც მზად არიან მიიღონ 5-5 პროფესიული სტუდენტი, შემუშავდა სასწავლო გეგმა და განისაზღვრა მოდულების განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირები. სხდომის ოქმით დადგინდა პროგრამაზე არსებული 15 ადგილიდან 5 ადგილის პროგრამის დუალური მიდგომით განხორციელების მიზნებისთვის გამოყოფა.

ამგვარად, დაწესებულების დუალური მიდგომით განხორციელებად პროგრამაზე სტუდენტების რაოდენობის განსაზღვრის მიდგომა ეყრდნობა პარტნიორი კომპანიის შესაძლებლობებს, მის მიერ გამოყოფილი რესურსების გათვალისწინებით.

<u>ვინაიდან „პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის“ სხვადასხვა პუნქტებში მითითებულია სხვადასხვა კრიტერიუმები და ზოგიერთ შემთხვევაში პუნქტები ერთმანეთს ფარავენ, ექსპერტების შეფასებით, საჭიროა დოკუმენტის დახვეწა - გამოსაკვეთია პროგრამაზე პროფესიული სტუდენტების ზღვრული ოდენობის გამოსაანგარიშებლად პრაქტიკულად გამოყენებადი</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

PDF Eraser Free

კრიტერიუმები. ხოლო დაწესებულების საერთო კვოტა არ საჭიროებს ცალკე დაანგარიშებას, ვინაიდან ის წარმოადგენს განხორციელებად პროგრამებზე პროფესიული სტუდენტების ზღვრული ოდენობების ჯამს. ასევე, რეკომენდებულია კოლეჯმა განიხილოს 20 პროფესიულ სტუდენტზე მინიმუმ 1 მასწავლებლის არსებობის შესახებ ჩანაწერის საჭიროება.

4. **შპს საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიული კოლეჯის მიერ, დამტკიცებული პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამით „კომპიუტერული ქსელის და სისტემები“ განსაზღვრული რესურსები, როგორც აღჭურვილობის ასევე და სასწავლო რესურსის ნაწილში ემთხვევა „ინფორმაციის ტექნოლოგიის“ ჩარჩო დოკუმენტის შესაბამისი დანართებით გათვალისწინებულ სარეკომენდაციო ჩანაწერებს. შესაბამისად, პროგრამის განსახორციელებლად დაგეგმილი გამოსაყენებელი მატერიალური და სასწავლო რესურსი უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.**

5. „ინფორმაციის ტექნოლოგიის“ ჩარჩო დოკუმენტში, რომელიც წარმოადგენს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის „კომპიუტერული ქსელის და სისტემები“ შემუშავების საფუძველს, მოცემულია 6 არჩევითი მოდული, დაწესებულების მიერ შემუშავებული პროფესიული საგანანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 2 არჩევით მოდულს ჯამური 5 კრედიტის ოდენობით.

   არჩევითი მოდულები ძალაშია და მჭიდრო ლოგიკურ კავშირშია განსახორციელებლ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებთან.

6. წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით, პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამა „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ დამტკიცებულია შპს საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიული კოლეჯის აკადემიური საბჭოს 2019 წლის 24 მაისის 01/19 ოქმით და შესულია ცვლილება ამავე საბჭოს 2019 წლის 19 სექტემბრის 03/19 ოქმით. ექსპერტების მიერ მოთხოვნილი იქნა ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცების უფლებამოსილების განსაზღვრის თაობაზე, თუმცა დამატებით წარმოდგენილ დოკუმენტებში დაწესებულების მიერ არ იქნა მოწოდებული. აღნიშნულ საკითხზე, გასაუბრების დროს, დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტეს, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცებაზე უფლებამოსილ ორგანოდ განსაზღვრულია აკადემიური საბჭო. გასაუბრების პერიოდში, ცენტრის მეშვეობით, გამოგზავნილი საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულების მე-3 მუხლის მე-8 პუნქტით დასტურდება აკადემიური საბჭოს უფლებამოსილება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცების თაობაზე.

   ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კოლეჯში შემუშავებული რეგულაციის თანახმად, პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამა „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ დამტკიცებულია უფლებამოსილი ორგანოს მიერ.

7. **შპს საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიული კოლეჯის მიერ შემუშავებული პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის სახელწოდება „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ თანხვედრაშია ინფორმაციის ტექნოლოგიის ჩარჩო დოკუმენტით განსაზღვრულ კვალიფიკაციასთან, შესაბამისად ასრულებს იდენტიფიკატორის როლს და არ არის შეცდომაში შემყვანი.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

8. **შპს საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიული კოლეჯის მიერ შემუშავებული პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ ძირითადი დოკუმენტით** (რომელიც საწყის ეტაპზე გამოთხოვილ დოკუმენტებში არ მოიძებნა და წარმოდგენილი იქნა გასაუბრების დღეს) **განსაზღვრულია პროგრამის სახელწოდება, მიზნები, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, დაშვების წინაპირობები, მისაღწევი სწავლის შედეგები, პროგრამის მოცულობა, სავარუდო ხანგრძლივობა კვირებში, ხოლო სწავლების მეთოდოლოგია და შეფასების მიმართულებები მოცემულია შესაბამის მოდულებში. სასწავლო გეგმაში დაცულია მოდულებზე დაშვების წინაპირობები, გათვალისწინებულია დროის შუალედები განმეორებითი შეფასებისათვის. სტუდენტის სასწავლო დატვირთვა არ აღემატება შრომის კოდექსით დასაშვებ კვირეულ დატვირთვას.**

PDF Eraser Free

ცენტრში წარმოდგენილი განაცხადით მოწოდებულია სწავლის შედეგების განაწილების სქემა - ფაილი, რომელიც მოიცავს დეტალურ ინფორმაციას სწავლის შედეგების და კრედიტების დაწესებულებასა და კომპანიას შორის განაწილების შესახებ.

კოლეჯსა და პარტნიორ კომპანიას შორის გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად, კომპანია იღებს ვალდებულებას შეიმუშაოს პროგრამა და განსაზღვროს *„ის სწავლის შედეგები, რომელთა მიღწევა და შეფასებაც უნდა განხორციელდეს კომპანიაში მისი ხანგრძლივობისა და განხორციელების პერიოდის მითითებით“. კოლეჯი კი აცხადებს, რომ შეიმუშავებს ისეთ სასწავლო გეგმას, რომელშიც გათვალისწინებული იქნება სწავლის შედეგების განაწილების და სასწავლო პროცესის ორგანიზების თავისებურებათა ერთობლიობა.* თუმცა დამტკიცებულ დოკუმენტებში - პროგრამის ძირითად დოკუმენტში, მოდულებში, სასწავლო გეგმასა ან ხელშეკრულების რომელიმე ნაწილში ამგვარი დეტალური ინფორმაცია არ იძებნება. ასევე პროგრამის შემადგენელ მოდულებში არ გვხვდება ჩანაწერები სწავლის შედეგების განხორციელების ადგილისა და შეფასებების შესახებ, რაც განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია დუალური მიდგომით პროგრამის განხორციელების შემთხვევაში.

ძირითადი დოკუმენტის განხილვისას გამოიკვეთა რიგი უზუსტობები, კერძოდ:

- პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის სახელწოდება წარმოდგენილი დოკუმენტებით განსაზღვრულია როგორც „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ და ძირითადი დოკუმენტების თავფურცელზე დატანილია აღნიშნული სახელწოდება, თუმცა ძირითადი დოკუმენტის რომელიმე ნაწილში არ გვხვდება პროგრამის სახელწოდება. ჩვეულებისამებრ, სახელწოდება მიეთითება დოკუმენტის 1-ელ ნაწილში, რომელიც აღნიშნულ შემთხვევაში ფორმულირებულია შემდეგნაირია: *„ჩარჩო დოკუმენტის სახელწოდება ქართულ და ინგლისურ ენაზე რომლის საფუძველზეც შექმნილია - ინფორმაციის ტექნოლოგია / Information Technology“.*
- მე-7 ნაწილის ჩანაწერში პროგრამის ხანგრძლივობა - მითითებულია 69 კვირა, რასაც სასწავლო გეგმის მიხედვით შუალედებში ემატება არასასწავლო 4 კვირა. მიუხედავად იმისა რომ, არაპირდაპირი გზით, სასწავლო გეგმით შესაძლებელია გარკვეული ინფორმაციის ამოღება პროგრამის სავარაუდო ხანგრძლივობის შესახებ (სასწავლო და არასასწავლო კვირების ჯამის გადაყვანა თვეებში), სასურველია პროგრამაში დაზუსტდეს ჩანაწერი და სავარაუდო ხანგრძლივობა მიეთითოს თვეებში.
- პროგრამის მე-9 და მე-10 ნაწილებში ჩარჩენილია ჩანაწერი „ჩარჩო დოკუმენტი“.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

- პროგრამის მე-9 ნაწილში მოცემული ჩანაწერი *„პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს მშობლიური/საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენის კომპეტენციის შეფასების მიდგომებს“* არ არის კავშირში მოცემულ პროგრამასთან.

PDF Eraser Free

- პროგრამის მე-11 ნაწილი არ მოიცავს ჩარჩო დოკუმენტით განსაზღვრულ ჩანაწერს დუალური მიდგომით განხორციელებადი პროგრამის შემთხვევაში, კვალიფიკაციის მისანიჭებლად, საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარების აუცილებლობის შესახებ: „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, რომელშიც პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების 50% ან მეტი რეალურ სამუშაო გარემოში მიიღწევა, კვალიფიკაციის მინიჭების დამატებითი პირობაა საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარება.“

<u>ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ექსპერტების შეფასებით, აუცილებელია პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის ადაპტირებისთვის იმგვარი მექანიზმის შემუშავება, რომელიც უზრუნველყოფს ტექნიკური ხასიათის შეცდომების და ჩანაწერებში უზუსტობების პრევენციას. რეკომენდებულია ცენტრის გზამკვლევების გამოყენება პროგრამის ადაპტირებისას.</u>

<u>ამასთან ვინაიდან დუალური მიდგომით პროგრამის განხორციელებისას, ზოგიერთი მოდული/სწავლის შედეგი ისწავლება დაწესებულებაში, ხოლო ზოგიერთი - პარტნიორ კომპანიაში (რაც ასახულია სწავლის შედეგების განაწილების ცხრილში, მაგრამ არ წარმოადგენს პროგრამის ნაწილს), უმჯობესია აღნიშნულის შესახებ ინფორმაცია დატანილი იქნას რომელიმე დამტკიცებულ/ხელმოწერილ დოკუმენტში:</u>

- <u>პარტნიორ კომპანიასთან გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამის ნაწილში (მაგ. მის დანართად იქნეს ფორმირებულ სწავლის შედეგების განაწილების ცხრილი);</u>
- <u>ან პროგრამაში ან/და სასწავლო გეგმებში, რაიმე სახის აღნიშვნის გზით, იდენტიფიცირებადი გახდეს კომპანიისა და კოლეჯის ბაზაზე განხორციელებადი მოდულები/მოდულების ნაწილები.</u>
- <u>ან იმგვარი ალტერნატივა, რომლითაც უზრუნველყოფილი იქნება დაწესებულებასა და კომპანიას შორის განაწილებული მოდულების/სწავლის შედეგების და მათი განხორციელების/მიღწევისა და შეფასების ადგილისა და სხვა თავისებურებების შესახებ ინფორმაციის ამოღება.</u>

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „კომპიუტერული ქსელი და სისტემები;
2. სტრატეგიული განვითარების გეგმა;
3. შპს საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიული კოლეჯის აკადემიური საბჭოს ოქმები;
4. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზანშეწონილობის დოკუმენტის ასლი;
5. 2021 წლის 15 თებერვლის N03/21 დუალური მიდგომით განხორციელებად პროგრამაზე ჩარიცხვის ზოგადი წესის შესახებ;
6. „პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია“;
7. შპს „სქაი ჰაისთან“ გაფორმებული ხელშეკრულება;
8. საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულება;
9. დისტანციური ჩართვის ფარგლებში გასაუბრება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

PDF Eraser Free

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი.

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „კომპიუტერული ქსელი და სისტემები სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობას დაწესებულება უზრუნველყოფს შპს „საქართველოს უნივერსიტეტთან“ გაფორმებული ქვეიჯარის შესახებ ხელშეკრულების ფარგლებში გაფორმებული შეთანხმების მიხედვით, კოლეჯის სარგებლობაში არსებული მატერიალური რესურსით და პარტნიორ კომპანიასთან დადებული ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებით: *„უზრუნველყოს არაუმეტეს 5 პროფესიული სტუდენტის სწავლება დუალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის იმ სწავლის შედეგების ფარგლებში, რომელთა მიღწევაც წარმოადგენს მისი პასუხისმგებლობის სფეროს“.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

PDF Eraser Free

გაფორმებული ხელშეკრულებით კომპანია იღებს ვალდებულებას *„საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში პროფესიულ სტუდენტთა სწავლების განხორციელებისთვის უზრუნველყოს პროგრამის შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა“* და ამასთან, სწავლის დაწყებამდე გააცნოს პროფესიულ სტუდენტებს *„შრომის დაცვის უზრუნველყოფისა და უსაფრთხოების ნორმები, უზრუნველყოს უსაფრთხო სასწავლო და სამუშაო გარემოს შექმნა“*. შპს „სქაი ჰაის“ წარმომადგენელმა გასაუბრებისას დაადასტურა 5 პროფესიული სტუდენტის სწავლებისა და შეფასების განხორციელება სწავლის შედეგების განაწილების ცხრილის შესაბამისად.

ზემოაღნიშნული შეთანხმების დოკუმენტში ჩამოთვლილი აღჭურვილობა სრულად უზრუნველყოფს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებით განსაზღვრული დარგობრივი კომპეტენციების მიღწევის შესაძლებლობას, ხოლო პარტნიორ ორგანიზაციებთან ინტერვიურებისას, კომპანიის წარმომადგენლები ადასტურებენ შესაბამისი აღჭურვილობის ფლობას და პროფესიული სტუდენტებისთვის შეუფერხებელი წვდომის შესაძლებლობას.

2. **პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ განსახორციელებლად შერჩეული პირების რაოდენობა უზრუნველყოფს სტუდენტთა მითითებული რაოდენობის სწავლებას. დარგობრივ მოდულებზე განსაზღვრულია ერთზე მეტი განმახორციელებელი და სასწავლო გეგმით გათვალისწინებული კვირეული დატვირთვის მაქსიმალური მაჩვენებელი 33 საათია.**

3. **პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ განმახორციელებელი პირების დარგობრივი და სწავლების კომპეტენციები დასტურდება მათ სახელზე გაცემული სამუშაო გამოცდილების შესახებ ცნობებით და წარმომადგენლების ინტერვიუს შედეგებით. კომპანიის წარმომადგენლების მიერ მოწოდებული ინფორმაციით, შერჩეული განმახორციელებლებს გავლილი აქვთ ტრენინგი პედაგოგიკის საკითხებში და გააჩნიათ სწავლების გამოცდილება.** დაწესებულების წარმომადგენლების განმარტებით, მიმდინარეობს კონსულტაციები და სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრთან თანამშრომლობით დაგეგმილია განმახორციელებლების გადამზადება - ინტენსიური კურსი სწავლებისა და შეფასების საკითხებში.

   პროგრამის ხელმძღვანელი ამავდროულად წარმოადგენს პროფესიული მოდულების განმახორციელებელს, ამ კუთხით მისი ინტერვიურების დროს მან აღნიშნა, რომ შეფასების ინსტრუმენტებს ათანხმებს დირექტორთან და ხარისხის მენეჯერთან, თუმცა ჩართვის დროს წარმოდგენილი ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულებით და ხარისხის მენეჯერთან გასაუბრებით, შეფასების ინსტრუმენტების შეთანხმების ვალდებულება ხარისხის მენეჯერს არ უდასტურდება. ექსპერტებმა დაწესებულების წარმომადგენელს მისცეს რჩევა უზრუნველყოს იმგვარი მექანიზმის ამუშავება, რომელიც მოაწესრიგებს მასწავლებლებისთვის დროული და სრულყოფილი ინფორმაციის მიწოდების საკითხებს და გამორიცხავს ახალი ავტორიზაციის სტანდარტების დამტკიცებამდე გავრცელებული პრაქტიკის შენარჩუნებას.

4. ექსპერტების მოთხოვნით, დაწესებულებამ წარმოადგინა 2019 წლის 21 მაისის N01/1/19 ბრძანება „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის დამტკიცების შესახებ. ექსპერტები ასევე დაინტერესდნენ პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქციებით, რაც წარმოდგენილი იქნა დამატებით გამოთხოვილ დოკუმენტში „პერსონალის დებულების“ სახელწოდებით,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

PDF Eraser Free

რომლის მე-3 მუხლის ნაწილით ხელმძღვანელს განსაზღვრული აქვს პროგრამის შემუშავების, ცვლილებების შეტანის, განმახორციელებლების განსაზღვრაში თანამონაწილეობის, მათთან სასწავლო გეგმის შესახებ კონსულტირების და საჭიროების შემთხვევაში პროფესიული სტუდენტების კონსულტირების უფლებამოსილება.

დისტანციური ჩართვის რეჟიმში მოხდა „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელთან გასაუბრება, მისი დარგობრივი კომპეტენცია დასტურდება მის სახელზე არსებული დოკუმენტებით და გასაუბრებით იკვეთება, რომ ის ჩართულია პროგრამის ცვლილებისა და დუალური ფორმით განხორციელების ადაპტირების პროცესში.

5. **„კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში მითითებული საგანმანათლებლო რესურსის ხელმისაწვდომობა ელექტრონული სახით დასტურდება ბიბლიოთეკის ვიზუალური დათვალიერებითა და შერჩევითი პრინციპით რამდენიმე რესურსის გადამოწმების შედეგით.**

6. ექსპერტების მოთხოვნის საფუძველზე, დაწესებულების მიერ არ იქნა წარმოდგენილი სსსმ პროფესიულ სტუდენტების სასწავლო რესურსით უზრუნველყოფის შესახებ რაიმე ტიპის ინფორმაცია. თუმცა გასაუბრების დროს კოლეჯის წარმომადგენელმა განმარტა, რომ შემუშავებულია დოკუმენტი სახელწოდებით „ინდივიდუალური სასწავლო გეგმა“, რაც გასაუბრების ეტაპზე, ცენტრის მეშვეობით, გამოგზავნილი იქნა ექსპერტებთან. აღნიშნული დოკუმენტის თანახმად, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის *„ძირითადი მიზანია, მოხდეს ზუსტი განსაზღვრა თუ რა ტიპის ინდივიდუალური სასწავლო გეგმა უნდა შეიქმნას და რა ტიპის რესურსებია საჭირო იმისათვის, რომ პროფესიულმა სტუდენტმა მიაღწიოს სასწავლო შედეგს“.*

   აღსანიშნავია, რომ დაწესებულების წარმომდგენელთან გასაუბრების შედეგად, ექსპერტების შეფასებით, დაწესებულებაში გააზრებულია სსსმ პირების მიერ, მათი მოთხოვნილებების შესაბამისად ადაპტირებულ, პროგრამით/ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან წვდომის საჭიროება. ასევე, შესწავლილი რეგულაციის ჩანაწერით გარკვეულწილად ნაჩვენებია შემხვედრ საჭიროებებზე რეაგირების წინაპირობა.

   <u>თუმცა ექსპერტების მოსაზრებით, მეტი სიცხადისთვის, სასურველია დაწესებულებამ რეგულაციაში დააზუსტოს შესაბამისი პუნქტები - განმარტოს/აღწეროს რესურსების ადაპტირების/დამატებითი მომსახურეობის შემთხვევები და განსაზღვროს პროცესზე პასუხისმგებელი პირ/ები/ი.</u>

7. ექსპერტების მირ მოთხოვნილი პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ ბიუჯეტი ითვალისწინებს შემოსავლის ორ სახეობას: სწავლის საფასური და შპს საქართველოს უნივერსიტეტის დონაცია, ხოლო ხარჯვითი ნაწილი მოიცავს პროფესიული განათლების მასწავლებლის, პროგრამის ხელმძღვანელის და მუდმივი აკადემიური პერსონალის ადმინისტრაციის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

PDF Eraser Free

ანაზღაურებას, მატერიალური რესურსით უზრუნველყოფას, კომუნალურ იჯარას, მარკეტინგსა და საზოგადოებასთან ურთიერთობას და პერსონალის განვითარებისა და საოფისე ხარჯებს. შემოსავალი გაანგარიშებულია 12 პროფესიული სტუდენტზე, თუმცა არ არის გათვალისწინებული ვაუჩერული დაფინანსება, მიუხედავად იმისა რომ დაწესებულების წარმომადგენლებმა განმარტეს, რომ აღნიშნული სახის დაფინანსება მათთვის ხელმისაწვდომია.

აკადემიური საბჭოს 2021 წლის 1 თებერვლის N01/21 ოქმის მონაცემებით, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მიერ დაწესებულებისთვის მისაღები პროფესიული სტუდენტის დადგენილი 15 რაოდენობიდან, მიმდინარე ეტაპზე, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ ირიცხება 5 პროფესიული სტუდენტი (თავდაპირველად ჩაირიცხა 8 პროფესიული სტუდენტი).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე - ბიუჯეტის 12 სტუდენტზე გაანგარიშება და მიმდინარე ეტაპზე არაუმეტეს 5 პროფესიული სტუდენტის არსებობის გამო, გასაუბრებისას დაისვა პროგრამის ფინანსური მდგრადობის საკითხი, რაზეც დაწესებულების წარმომადგენლებმა განმარტა, რომ კოლეჯის მიერ განხორციელებადი პროგრამების განხორციელების მდგრადობა უზრუნველყოფილია საქართველოს უნივერსიტეტის დონაციით. აღნიშნულის თაობაზე 2019 წლის 14 სექტემბერს შედგენილია შეთანხმება შპს „საქართველოს უნივერსიტეტსა“ და შპს „საქართველოს უნივერისტეტის პროფესიულ კოლეჯს“ შორის და ითვალისწინებს შემდეგს: *„იმ შემთხვევაში თუ მოხდება საქართველოს უნივერსიტეტის კოლეჯის საქმიანობის შეწყვეტა (იქნება ეს ფინანსური თუ სხვა სახის პრობლემები), საქართველოს უნივერსიტეტი იღებს პასუხისმგებლობას რომ უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტებისთვის ალტერნატივის შექმნას, რომელიც მისცემს მათ* (შესაძლებლობას) *რომ დაასრულონ შესაბამისი პროფესიული პროგრამა“.*

დაწესებულების ხელმძღვანელის მტკიცებით, პროგრამების განხორციელების მდგრადობას არ შეექმნება პრობლემა, პროგრამებზე ერთი აქტიური სტუდენტის არსებობის შემთხვევაშიც. დაწესებულების მიერ წარმოდგენილია საქართველოს უნივერსიტეტის მიერ კოლეჯისთვის კაპიტალის გაზრდის დოკუმენტი - ტექსტური რედაქტორის ფაილი, 2021 წლის 12 მარტის პარტნიორთა კრების ოქმი N04/21, სადაც აღნიშნულია კოლეჯის დირექტორის მოხსენება „მიმდინარე აქტივობების განხორციელებისა და განვითარებისათვის საჭიროა დამატებითი თანხების“ საჭიროების შესახებ.

ვაუჩერული დაფინანსების და უნივერისტეტის დონაციის კომბინირებით მიღებული შემოსავლის შემთხვევაში პროგრამის განხორცილებას ფინანსური თავლსაზრისით საფრთხე არ ემუქრება.

<u>თუმცა ექსპერტების შეფასებით, ვინაიდან წარმოდგენილი ბიუჯეტი არ მოიცავს დაწესებულების მიერ გაჟღერებულ ინფორმაციას წარმოდგენილი პროგრამების ფარგლებში ვაუჩერული დაფინანსების არსებობის შესახებ, აუცილებელია დაზუსტდეს შემოსავლების როგორც სახეობა ასევე ოდენობა და განისაზღვროს პროგრამის განხორციელების რენტაბელობის რეალური ზღვარი - ის მინიმუმი, რომლის შემთხვევაშიც პროგრამა ფინანსურად მდგრადია.</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

PDF Eraser Free

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. 2019 წლის 14 სექტემბრის შეთანხმება შპს „საქართველოს უნივერისტეტსა და შპს „საქართველოს უნივერისტეტის პროფესიულ კოლეჯს“ შორის;
2. 2021 წლის 12 მარტის პარტნიორთა კრების ოქმი N04/21;
3. „ინდივიდუალური სასწავლო გეგმა“;
4. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ „კომპიუტერული ქსელის ადმინისტრირება“ ბიუჯეტი;
5. აკადემიური საბჭოს 2021 წლის 1 თებერვლის N01/21 ოქმი;
6. შპს „სქაი ჰაისთან“ გაფორმებული ხელშეკრულება;
7. 2019 წლის 21 მაისის N01/1/19 ბრძანება და 2020 წლის 23 დეკემბრის N20/20 ბრძანება პროგრამის ხელმძღვანელების დანიშვნის შესახებ;
8. დისტანციური ჩართვის ფარგლებში ვიზუალური დათვალიერება;
9. დისტანციური ჩართვის ფარგლებში გასაუბრება.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

XII. ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

PDF Eraser Free

პროგრამის სახელწოდება	კომპიუტერული ქსელის ადმინისტრირება
პროფესიული განათლების საფეხური / დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია კომპიუტერული ქსელის ადმინისტრირებაში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0612
პროგრამის დამტკიცების/ცვლილების აქტის რეკვიზიტები	*საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიული კოლეჯის აკადემიური საბჭოს სხდომის ოქმები:* N01/19 – 24 მაისი, 2019 - დამტკიცების შესახებ N03/19 – 19 სექტემბერი, 2019 - ტექნიკური ხარვეზების გასწორების შესახებ N01/21 – 1 თებერვალი, 2021 - დუალური მიდგომით განხორციელების შესახებ
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	თბილისი, ბაგრატიონის ქუჩა N6
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური და დუალური
პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა	10 მოდულური, 5 დუალური
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში)*.	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	117
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	147

ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ:

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

XIII. პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

PDF Eraser Free

სტანდარტი/კომპონენტი	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება
2) საგანმანათლებლო პროგრამები	(დაწესებულების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება)	(ექსპერტების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება)
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება		შეესაბამება
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი		შეესაბამება

სტანდარტის შეფასება

პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება.

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად.

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

PDF Eraser Free

1. წინამდებარე ინდიკატორის შემოწმების მიზნებისთვის, ექსპერტებმა შპს საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიული კოლეჯიდან, ცენტრის მეშვეობით, გამოითხოვეს სტრატეგიული განვითარების გეგმა და მისია, რის ნაცვლადაც ექსპერტებს წარედგინათ ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, რომელიც არ იქნა შესწავლილი ექსპერტების მიერ, ვინაიდან არ წარმოადგენს ინდიკატორის ინტერესს. მოგვიანებით, დაწესებულებასთან გასაუბრების დროს, სტრატეგიული განვითარების გეგმისა და მისიის შესახებ დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ კოლეჯში შემუშავებულია მისია და 6 წლიანი სტრატეგიული განვითრების გეგმა, თუმცა მყისიერად, ცენტრის საშუალებით, ექსპერტებს მიეწოდათ 7 წლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა - ტექსტური რედაქტორის ფაილის სახით. აღნიშნულ ფაილში მოცემული ორი სტრატეგიული მიზნიდან ერთ-ერთის ფარგლებში განსაზღვრულ 3 ამოცანას შორის ვხვდებით *„შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისა და ტრენინგების შემუშავება და შეთავაზება“.*

„კოლეჯის მისიაა ჩამოყალიბდეს ცოდნაზე ორიენტირებულ კოლეჯად, რომელიც იხელმძღვანელებს რა სამართლიანობის და ჰუმანიზმის პრინციპებით, განათლებისა და დასაქმების სფეროში წარმატების მისაღწევად ითანამშრომლებს დამსაქმებლებთან და საზოგადოების ყველა დაინტერესებულ პირთან; ასევე თითოეულ პროფესიული სტუდენტს შესთავაზოს ხელმისაწვდომი, სრულფასოვანი, თეორიული და პრაქტიკული ცოდნის მისაღებად განკუთვნილი ხარისხიანი სასწავლო გარემო, რომელიც ხელს შეუწყობს შრომის ბაზართან ადაპტირებული, კონკურენტუნარიანი კადრების მომზადებას თვითრეალიზაციის პერსპექტივითა და შემდგომი დასაქმების უზრუნველყოფით“.

ექსპერტების მოთხოვნით, ასევე წარმოდგენილი იქნა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზანშეწონილობის დოკუმენტი, რომელიც მოწოდებული იქნა დამოწმებული ასლის სახით და რომელშიც გაჟღერებულია ინფორმაცია სხვადასხვა კომპანიების გამოკითხვიდან, IT მიმართულებით კადრების ნაკლებობის გამოკვეთის შესახებ და რომ წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება განპირობებულია აღნიშნული მიმართულებით ბაზარზე არსებული მოთხოვნებით.

2021 წლის 1 თებერვალს, საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიული კოლეჯის აკადემიურ საბჭოს სხდომის ოქმით N01/21 მიღებულ იქნა გადაწყვეტილება - პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის „კომპიუტერული ქსელის ადმინისტრირება“ სწავლების ფორმაში ცვლილების შესახებ - დუალური მიდგომით განხორცილების მიზნით. ოქმის ჩანაწერების მიხედვით, პროგრამის ხელმძღვანელი განმარტავს, რომ *„დუალური განათლება პროფესიული განათლების ერთ-ერთი ფორმაა და სტუდენტი ამ შემთხვევაში ორ ადგილას სწავლობს: პროფესიულ სასწავლებელში ის მომავალ პროფესიასთან დაკავშირებულ თეორიულ მასალას ეუფლება, ხოლო საწარმოში ან კომპანიაში პრაქტიკულ ნაწილს ეუფლება. ამ მიდგომის შედეგად სტუდენტი თეორიულთან ერთად პრაქტიკულ ცოდნასაც იღებს და კონკურენტუნარიანი ხდება შრომის ბაზარზე“.* კოლეჯის დირექტორის მოსაზრებით, *„სწავლების დუალური ფორმა უფრო კონკურენტუნარიანს გახდის პროგრამებს და ამასთანავე, პროფესიული სტუდენტები მეტად მომზადებულნი პოტენციური დასაქმებულები იქნებიან“.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

PDF Eraser Free

ამგვარად, შესწავლილი გარემოებების მიხედვით, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „კომპიუტერული ქსელის ადმინისტრირება“ დუალური მიდგომით განხორციელება არ ეწინააღმდეგება კოლეჯის მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას და მიზანშეწონილობის დოკუმენტი ასახავს პროგრამის მოთხოვნადობას.

ვინაიდან, პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთების დოკუმენტის ასლი იტყობინება, რომ კოლეჯი იკვლევს შრომის ბაზარს და ატარებს სხვადასხვა კომპანიების გამოკითხვებს, ექსპერტები მიიჩნევენ, უმჯობესია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების მიზნებისთვის, ჩატარებული გამოკითხვის ანალიზის/სტატისტიკური მონაცემების/დამუშავებული ინფორმაცია გამოყენებული იქნას პროგრამების განხორციელების მიზანშეწონილობის დასასაბუთებლად.

კოლეჯის მიერ განხორციელებადი პროგრამების მიმართულების გათვალისწინებით, ექსპერტების რეკომენდაციაა დაწესებულებამ გადახედოს მისიას, მისი პროფილის გამოკვეთის მიზნით; ამასთან მიზანშეწონილია გათვალისწინებული იქნას პროფესიული განათლების სპეციფიკა „უნარებზე“ და არა „ცოდნაზე“ ორიენტირებულების თვალსაზრისით.

2. **პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „კომპიუტერული ქსელის ადმინისტრირება“ დაშვების წინაპირობა თანხვედრაშია პროგრამის შემუშავების საფუძველი ჩარჩო დოკუმენტით „ინფორმაციის ტექნოლოგია“ 06112-3 განსაზღვრულ მოთხოვნასთან - სრული ზოგადი განათლება.**

ექსპერტების მოთხოვნით, დაწესებულების მიერ დამატებით დოკუმენტებს შორის, წარმოდგენილი იქნა 2021 წლის 15 თებერვლის N03/21 ბრძანება „დუალური მიდგომით განხორციელებად პროგრამაზე ჩარიცხვის ზოგადი წესის“ სახელწოდებით, რომლის მე-2 პუნქტი განსაზღვრავს გასაუბრების კომისიის შემადგენლობას, ხოლო 1-ლი და მე-3 პუნქტებიდან იკითხება, რომ პროფესიული სტუდენტების ჩარიცხვის მიზნით, შესაძლებელია დაინიშნოს გასაუბრება კომისიასთან. ამასთან, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის „კომპიუტერული ქსელის ადმინისტრირება“ დუალური მიდგომით განხორცილების მიზნით შერჩეული პარტნიორ კომპანიასთან - შპს ჯი-თი ჯგუფი, 2021 წლის 1 თებერვალს გაფორმებული ხელშეკრულების 2 მუხლის 2.1 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი კოლეჯის ვალდებულების შესახებ ასეთია: *“კომპანიასთან ერთად უზრუნველყოს პროფესიული სტუდენტთა შერჩევის პროცედურების განხორციელება განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ დადგენილი წესით“.*

აღნიშნულთან დაკავშირებით, ექსპერტებმა განუმარტეს დაწესებულებას "პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 27 სექტემბრის №152/ნ ბრძანების მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის მოთხოვნის შესახებ („იმ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების 50% ან მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში, სწავლის უფლების მოპოვება ხდება მხოლოდ დაწესებულების მიერ ჩატარებული შესაბამისი კონკურსის საფუძველზე“), ხოლო დაწესებულების წარმომადგენელმა ექსპერტებს მიაწოდა ინფორმაცია „საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულების“ არსებობის შესახებ, რომელიც ასევე გასაუბრების დროს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

PDF Eraser Free

გამოგზავნილი იქნა ექსპერტებთან ტექსტური რედაქტორის სახით, ცენტრის მეშვეობით და მისი პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების შესახებ 23-ე მუხლის თანახმად: *„პროფესიულ საგანმანათლებო როგორც მოდულურ ისე დუალურ პროგრამაზე, ჩარიცხვა ხორციელდება წარმოდგენილი დოკუმენტების განხილვისა და კოლეჯის დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული გამოცდის ან/და გასაუბრების საფუძველზე. დუალურ პროგრამაზე მისაღებად, კონკურსის შემთხვევაში აუცილებელია მოხდეს კოლეჯის მიერ განსაზღვრული ტესტირების ჩატარება და შემდეგ გასაუბრება, ხოლო იმ შემთხვევაში თუ არ არის კონკურსი, მხოლოდ გასაუბრება იგეგმება, რომლის წევრებიც დგინდება დირექტორის ბრძანების საფუძველზე. ინფორმაცია გამოქვეყნდება კოლეჯის ოფიციალურ ვებ გვერდზე.“*

პარტნიორი კომპანიის წარმომადგენელთან გასაუბრებით დგინდება, რომ პროგრამის განხორციელების მიზნები და შედეგები გაცნობიერებულია და პროცესში ჩართულობის სრული მზაობა გამოხატულია, თუმცა შეინიშნება მიღების პროცედურების შესახებ ინფორმაციის სიმწირე ეტაპების თანმიმდევრობასთან დაკავშირებით, რაც მნიშვნელოვანია პროცესების ვადებისა და პირობების შესახებ სწორი მოლოდინების არსებობისთვის და ასევე პროფესიული სტუდენტების შერჩევაში კომპანიის როლის გამოკვეთისთვის.

<u>ვინაიდან დუალური მიდგომით განხორციელებად პროგრამაზე პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვებასთან დაკავშირებით, სხვადასხვა დოკუმენტებში ვხვდებით სხვადასხვა ჩანაწერებს, ექსპერტების შეფასებით, საჭიროა დაწესებულებამ უზრუნველყოს მის მიერ დამტკიცებულ რეგულაციების და გაფორმებული ხელშეკრულების მიმდინარე საკანონმდებლო აქტებთან და ერთმანეთთან თანხვედრაში მოიყვანა. ასევე, უმჯობესია დუალური მიდგომით განხორციელებად პროგრამებზე სტუდენტის სტატუსის მოპოვებასთან დაკავშირებული პროცედურების აღმწერი რეგულაცია მოიცავდეს პროცედურულ ინფორმაციას მიღების გამოცხადების, რეგისტრაციის და შერჩევის პირობების შესახებ.</u>

ამასთან, ვინაიდან პარტნიორი კომპანიის წარმომადგენელთან გასაუბრებისას შეინიშნება მიღების პროცედურების შესახებ ინფორმაციის სიმწირე ეტაპების თანმიმდევრობასთან დაკავშირებით, სასურველია დაწესებულებამ უზრუნველყოს პარტნიორი კომპანიის უფლებამოსილი წარმომადგენლებისთვის ჩარიცხვის პირობების (პროცედურისა და პროცედურის თანმიმდევრობის) შესახებ სრულყოფილი ინფორმაციის მიწოდება და საჭირო საკითხებზე/ეტაპებზე შეთანხმება.

3. დაწესებულების მიერ, ექსპერტების მოთხოვნის საფუძველზე, წარმოდგენილი იქნა „პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია“, რომელზეც დატანილია ინფორმაცია *„დამტკიცებულია შპს საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიული კოლეჯის აკადემიური საბჭოს 01/19 ოქმით“* აღნიშნული რეგულაცია სხვადასხვა პუნქტებში ზღვრული ოდენობის განსაზღვრის სხვადასხვა კრიტერიუმებს ასახელებს, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში პუნქტები ერთმანეთს ფარავენ. ასევე მითითებულია დაწესებულების საერთო კვოტის გამოთვლის პრინციპი.

დაწესებულებამ ასევე წარმოადგინა პროგრამის განხორციელების ფორმის ცვლილებისა და კვოტის გაანგარიშების შესახებ საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიული კოლეჯის აკადემიური საბჭოს N01/21 ოქმი დათარიღებული 2021 წლის 1 თებერვალით. ოქმის ჩანაწერების მიხედვით, პროგრამის ხელმძღვანელებმა განმარტეს, რომ საინფორმაციო ტექნოლოგიების ასოციაციის დამხარებით მოძიებულ პარტნიორ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

PDF Eraser Free

კომპანიებთან ერთად, რომლებიც მზად არიან მიიღონ 5-5 პროფესიული სტუდენტი, ასევე შემუშავდა სასწავლო გეგმა და განისაზღვრა მოდულების განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირები. სხდომის ოქმით დადგინდა პროგრამაზე არსებული 15 ადგილიდან 5 ადგილის პროგრამის დუალური მიდგომით განხორციელების მიზნებისთვის გამოყოფა.

ამგვარად, დაწესებულების დუალური მიდგომით განხორციელებად პროგრამაზე სტუდენტების რაოდენობის განსაზღვრის მიდგომა ეყრდნობა პარტნიორი კომპანიის შესაძლებლობებს, მის მიერ გამოყოფილ რესურსების გათვალისწინებით.

ვინაიდან „პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის“ სხვდასხვა პუნქტებში მითითებულია სხვადასხვა კრიტერიუმები და ზოგიერთ შემთხვევაში პუნქტები ერთმანეთს ფარავენ, ექსპერტების შეფასებით, საჭიროა დოკუმენტის დახვეწა - გამოსაკვეთია პროგრამაზე პროფესიული სტუდენტების ზღვრული ოდენობის გამოსაანგარიშებლად პრაქტიკულად გამოყენებადი კრიტერიუმები. ხოლო დაწესებულების საერთო კვოტა არ საჭიროებს ცალკე დაანგარიშებას, ვინაიდან ის წარმოადგენს განხორციელებად პროგრამებზე პროფესიული სტუდენტების ზღვრული ოდენობების ჯამს. ასევე, რეკომენდებულია კოლეჯმა განიხილოს 20 პროფესიულ სტუდენტზე მინიმუმ 1 მასწავლებლის არსებობის შესახებ ჩანაწერის საჭიროება.

4. **შპს საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიული კოლეჯის მიერ, დამტკიცებული პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამით „კომპიუტერული ქსელის ადმინისტრირება“ განსაზღვრული რესურსები, როგორც აღჭურვილობის ასევე და სასწავლო რესურსის ნაწილში ემთხვევა „ინფორმაციის ტექნოლოგიის“ ჩარჩო დოკუმენტის შესაბამისი დანართებით გათვალისწინებულ სარეკომენდაციო ჩანაწერებს. შესაბამისად, პროგრამის განსახორციელებლად დაგეგმილი გამოსაყენებელი მატერიალური და სასწავლო რესურსი უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.**

5. „ინფორმაციის ტექნოლოგიის“ ჩარჩო დოკუმენტში, რომელიც წარმოადგენს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის „კომპიუტერული ქსელის ადმინისტრირება“ შემუშავების საფუძველს, მოცემულია 6 არჩევითი მოდული და ამავე ჩარჩო დოკუმენტით კვალიფიკაციის მისანიჭებლად განსაზღვრულია არჩევითი მოდულებით არანაკლებ 13 კრედიტის დაგროვების ვალდებულება. დაწესებულების მიერ შემუშავებული პროფესიული საგანანმანათლებლო მოიცავს 4 არჩევით მოდულს ჯამური 15 კრედიტის ოდენობით.

არჩევითი მოდულები ძალაშია და მჭიდრო ლოგიკურ კავშირშია განსახორციელებლ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებთან.

6. წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით, პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამა „კომპიუტერული ქსელის ადმინისტრირება“ დამტკიცებულია შპს საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიული კოლეჯის აკადემიური საბჭოს 2019 წლის 24 მაისის 01/19 ოქმით და შესულია ცვლილება ამავე საბჭოს 2019 წლის 19 სექტემბრის 03/19 ოქმით. ექსპერტების მიერ მოთხოვნილი იქნა ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცების უფლებამოსილების განსაზღვრის თაობაზე, თუმცა დამატებით წარმოდგენილ დოკუმენტებში დაწესებულების მიერ არ იქნა მოწოდებული. აღნიშნულ საკითხზე, გასაუბრების დროს, დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტეს, რომ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

PDF Eraser Free

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცებაზე უფლებამოსილ ორგანოდ განსაზღვრულია აკადემიური საბჭო. გასაუბრების პერიოდში, ცენტრის მეშვეობით, გამოგზავნილი საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულების მე-3 მუხლის მე-8 პუნქტით დასტურდება აკადემიური საბჭოს უფლებამოსილება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცების თაობაზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კოლეჯში შემუშავებული რეგულაციის თანახმად, პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამა „კომპიუტერული ქსელის ადმინისტრირება“ დამტკიცებულია უფლებამოსილი ორგანოს მიერ.

7. **შპს საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიული კოლეჯის მიერ შემუშავებული პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის სახელწოდება „კომპიუტერული ქსელის ადმინისტრირება“ თანხვედრაშია ინფორმაციის ტექნოლოგიის ჩარჩო დოკუმენტით განსაზღვრულ კვალიფიკაციასთან, შესაბამისად სრულებს იდენტიფიკატორის როლს და არ არის შეცდომაში შემყვანი.**

8. **შპს საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიული კოლეჯის მიერ შემუშავებული პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის „კომპიუტერული ქსელის ადმინისტრირება“ ძირითადი დოკუმენტით განსაზღვრულია პროგრამის სახელწოდება, მიზნები, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, დაშვების წინაპირობები, მისაღწევი სწავლის შედეგები, პროგრამის მოცულობა, სავარუდო ხანგრძლივობა კვირებში, ხოლო სწავლების მეთოდოლოგია და შეფასების მიმართულებები მოცემულია შესაბამის მოდულებში. სასწავლო გეგმაში დაცულია მოდულებზე დაშვების წინაპირობები, გათვალისწინებულია დროის შუალედები განმეორებითი შეფასებისათვის. სტუდენტის სასწავლო დატვირთვა არ აღემატება შრომის კოდექსით დასაშვებ კვირეულ დატვირთვას.**

ცენტრში წარმოდგენილი განაცხადით მოწოდებულია სწავლის შედეგების განაწილების სქემა - ფაილი, რომელიც მოიცავს დეტალურ ინფორმაციას სწავლის შედეგების და კრედიტების დაწესებულებასა და კომპანიას შორის განაწილების შესახებ. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „კომპიუტერული ქსელი ადმინისტრირება“ სწავლის შედეგების განაწილების სქემაში, სისტემაში დამკვიდრებული პრაქტიკისგან განსხვავებით, ე.წ თეორიული მოდულის მაგ. „დარგობრივი ინგლისური ენა - კომპიუტერული ქსელები“ განხორციელება სრულად დაგეგმილია კომპანიის ბაზაზე. აღნიშნულან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ კომპანიამ გამოთქვა სურვილი მოცემულ განაწილებაზე, ხოლო კომპანიის წარმომადგენლმა გასაუბრებისას დაადასტურა სრული მზაობა და აღნიშნული მოდულის სწავლის შედეგების მიღწევისა და შეფასებისთვის საჭირო როგორც სასწავლო გარემო ასევე განმახორციელებელი რესურსის არსებობისა.

კოლეჯსა და პარტნიორ კომპანიას შორის გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად, კომპანია იღებს ვალდებულებას შეიმუშაოს პროგრამა და განსაზღვროს *„ის სწავლის შედეგები, რომელთა მიღწევა და შეფასებაც უნდა განხორციელდეს კომპანიაში მისი ხანგრძლივობისა და განხორციელების პერიოდის მითითებით“. კოლეჯი კი აცხადებს, რომ შეიმუშავებს ისეთ სასწავლო გეგმას, რომელშიც გათვალისწინებული იქნება სწავლის შედეგების განაწილების და სასწავლო პროცესის ორგანიზების თავისებურებათა ერთობლიობა.* თუმცა დამტკიცებულ დოკუმენტებში - პროგრამის ძირითად დოკუმენტში, მოდულებში, სასწავლო გეგმასა ან ხელშეკრულების რომელიმე ნაწილში ამგვარი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

PDF Eraser Free

დეტალური ინფორმაცია არ იძებნება. ასევე პროგრამის შემადგენელ მოდულებში არ გვხვდება ჩანაწერები სწავლის შედეგების განხორციელების ადგილისა და შეფასებების შესახებ, რაც განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია დუალური მიდგომით პროგრამის განხორციელების შემთხვევაში.

ძირითადი დოკუმენტის განხილვისას გამოიკვეთა რიგი უზუსტობები, კერძოდ:

- პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის სახელწოდება წარმოდგენილი დოკუმენტებით განსაზღვრულია როგორც „კომპიუტერული ქსელის ადმინისტრირება“ და ძირითადი დოკუმენტების თავფურცელზე დატანილია აღნიშნული სახელწოდება, თუმცა დოკუმენტის რომელიმე ნაწილში არ გვხვდება პროგრამის სახელწოდება. ჩვეულებისამებრ, სახელწოდება მიეთითება დოკუმენტის 1-ელ ნაწილში, რომელიც აღნიშნულ შემთხვევაში ფორმულირებულია შემდეგნაირია: *„ჩარჩო დოკუმენტის სახელწოდება ქართულ და ინგლისურ ენაზე რომლის საფუძველზეც შექმნილია - ინფორმაციის ტექნოლოგია / Information Technology“.*
- მე-7 ნაწილის ჩანაწერში პროგრამის ხანგრძლივობა - მითითებულია 80 კვირა, რასაც სასწავლო გეგმის მიხედვით შუალედებში ემატება არასასწავლო 10 კვირა. მიუხედავად იმისა რომ, არაპირდაპირი გზით, სასწავლო გეგმით შესაძლებელია გარკვეული ინფორმაციის ამოღება პროგრამის სავარაუდო ხანგრძლივობის შესახებ (სასწავლო და არასასწავლო კვირების ჯამის გადაყვანა თვეებში), სასურველია პროგრამაში დაზუსტდეს ჩანაწერი და სავარაუდო ხანგრძლივობა მიეთითოს თვეებში.
- პროგრამის მე-9 და მე-10 ნაწილებში ჩარჩენილია ჩანაწერი „ჩარჩო დოკუმენტი“.
- პროგრამის „კომპიუტერული ქსელის ადმინისტრირება“ მე-6 ნაწილში ჩარჩო დოკუმენტში არსებული ტექნიკური ცდომილება გამეორებულია ჩანაწერში „საშუალო კვალიფიკაციის მფლობელი“.
- პროგრამის მე-9 ნაწილში მოცემული ჩანაწერი *„პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს მშობლიური/საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენის კომპეტენციის შეფასების მიდგომებს“* არ არის კავშირში პროგრამასთან.
- პროგრამის მე-11 ნაწილი არ მოიცავს ჩარჩო დოკუმენტით განსაზღვრულ ჩანაწერს დუალური მიდგომით განხორციელებადი პროგრამის შემთხვევაში, კვალიფიკაციის მისანიჭებლად, საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარების აუცილებლობის შესახებ: „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, რომელშიც პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების 50% ან მეტი რეალურ სამუშაო გარემოში მიიღწევა, კვალიფიკაციის მინიჭების დამატებითი პირობაა საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარება.“

<u>ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ექსპერტების შეფასებით, აუცილებელია პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის ადაპტირებისთვის იმგვარი მექანიზმის შემუშავება, რომელიც უზრუნველყოფს ტექნიკური ხასიათის შეცდომების და ჩანაწერებში უზუსტობების პრევენციას. რეკომენდებულია ცენტრის გზამკვლევების გამოყენება პროგრამის ადაპტირებისას.</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

ამასთან ვინაიდან დუალური მიდგომით პროგრამის განხორციელებისას, ზოგიერთი მოდული/სწავლის შედეგი ისწავლება დაწესებულებაში, ხოლო ზოგიერთი - პარტნიორ კომპანიაში (რაც ასახულია სწავლის შედეგების განაწილების ცხრილში, მაგრამ არ წარმოადგენს პროგრამის ნაწილს), უმჯობესია აღნიშნულის შესახებ ინფორმაცია დატანილი იქნას რომელიმე დამტკიცებულ/ხელმოწერილ დოკუმენტში:

- პარტნიორ კომპანიასთან გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამის ნაწილში (მაგ. მის დანართად იქნეს ფორმირებულ სწავლის შედეგების განაწილების ცხრილი);
- ან პროგრამაში ან/და სასწავლო გეგმებში, რაიმე სახის აღნიშვნის გზით, იდენტიფიცირებადი გახდეს კომპანიისა და კოლეჯის ბაზაზე განხორციელებადი მოდულები/მოდულების ნაწილები.
- ან იმგვარი ალტერნატივა, რომლითაც უზრუნველყოფილი იქნება დაწესებულებასა და კომპანიას შორის განაწილებული მოდულების/სწავლის შედეგების და მათი განხორციელების/მიღწევისა და შეფასების ადგილისა და სხვა თავისებურებების შესახებ ინფორმაციის ამოღება.

PDF Eraser Free

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „კომპიუტერული ქსელის ადმინისტრირება“;
2. სტრატეგიული განვითარების გეგმა;
3. შპს საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიული კოლეჯის აკადემიური საბჭოს ოქმები;
4. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზანშეწონილობის დოკუმენტის ასლი;
5. 2021 წლის 15 თებერვლის N03/21 დუალური მიდგომით განხორციელებად პროგრამაზე ჩარიცხვის ზოგადი წესის შესახებ;
6. „პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია“;
7. შპს ჯი-თი ჯგუფთან გაფორმებული ხელშეკრულება;
8. საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულება;
9. დისტანციური ჩართვის ფარგლებში გასაუბრება.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი.

PDF Eraser Free

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „კომპიუტერული ქსელის ადმინისტრირება“ სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობას დაწესებულება უზრუნველყოფს შპს „საქართველოს უნივერსიტეტთან“ გაფორმებული ქვეიჯარის შესახებ ხელშეკრულების ფარგლებში გაფორმებული შეთანხმების მიხედვით, კოლეჯის სარგებლობაში არსებული მატერიალური რესურსით და პარტნიორ კომპანიასთან დადებული ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებით: *„უზრუნველყოს არაუმეტეს 5 პროფესიული სტუდენტის სწავლება დუალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის იმ სწავლის შედეგების ფარგლებში, რომელთა მიღწევაც წარმოადგენს მისი პასუხისმგებლობის სფეროს“.*

   გაფორმებული ხელშეკრულებით კომპანია იღებს ვალდებულებას *„საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში პროფესიულ სტუდენტთა სწავლების განხორციელებისთვის უზრუნველყოს პროგრამის შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა“* და ამასთან, სწავლის დაწყებამდე გააცნოს პროფესიულ სტუდენტებს *„შრომის დაცვის უზრუნველყოფისა და უსაფრთხოების ნორმები, უზრუნველყოს უსაფრთხო სასწავლო და სამუშაო გარემოს შექმნა“.* შპს ჯი-თი ჯგუფის წარმომადგენელმა გასაუბრებისას დაადასტურა 5 პროფესიული სტუდენტის სწავლებისა და შეფასების განხორციელება სწავლის შედეგების განაწილების ცხრილის შესაბამისად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

PDF Eraser Free

ზემოაღნიშნული შეთანხმების დოკუმენტში ჩამოთვლილი აღჭურვილობა სრულად უზრუნველყოფს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებით განსაზღვრული დარგობრივი კომპეტენციების მიღწევის შესაძლებლობას, ხოლო პარტნიორ ორგანიზაციებთან ინტერვიურებისას, კომპანიის წარმომადგენლები ადასტურებენ შესაბამისი აღჭურვილობის ფლობას და პროფესიული სტუდენტებისთვის შეუფერხებელი წვდომის შესაძლებლობას.

2. **პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „კომპიუტერული ქსელის ადმინისტრირება“ განსახორიცლებლად შერჩეული პირების რაოდენობა უზრუნველყოფს სტუდენტთა მითითებული რაოდენობის სწავლებას. დარგობრივ მოდულებზე განსაზღვრულია ერთზე მეტი განმახორციელებელი და სასწავლო გეგმით გათვალისწინებული კვირეული დატვირთვის მაქსიმალური მაჩვნებელი 33 საათია.**

3. **პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „კომპიუტერული ქსელის ადმინისტრირება“ განმახორციელებელი პირების დარგობრივი და სწავლების კომპეტენციები დასტურდება მათ სახელზე გაცემული სამუშაო გამოცდილების შესახებ ცნობებით და წარმომადგენლების ინტერვიუს შედეგებით. კომპანიის წარმომადგენლების მიერ მოწოდებული ინფორმაციით, შერჩეული განმახორციელებლებს გავლილი აქვთ ტრენინგი პედაგოგიკის საკითხებში და მათ ნაწილს გააჩნია სწავლების, ნაწილს კი - სემინარების/ვებინარების შექმნის გამოცდილება.** დაწესებულების წარმომადგენლების განმარტებით, მიმდინარეობს კონსულტაციები და სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრთან თანამშრომლებით დაგეგმილია განმახორციელებლების გადამზადება - ინტენსიური კურსი სწავლებისა და შეფასების საკითხებში.

4. ექსპერტების მოთხოვნით, დაწესებულებამ წარმოადგინა 2020 წლის 23 დეკემბრის N20/20 ბრძანება „ტექნიკური ხარვეზის დადგენის შესახებ“, რომელიც გვამცნობს „კომპიუტერული ქსელის ადმინისტრირების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელად ს.ს. გათავისუფლების და ი.ს დანიშვნის შესახებ. ექსპერტები დაინტერესდნენ პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქციებით, რაც წარმოდგენილი იქნა დამატებით გამოთხოვილ დოკუმენტში „პერსონალის დებულების“ სახელწოდებით, რომლის მე-3 მუხლის ნაწილით ხელმძღვანელს განსაზღვრული აქვს პროგრამის შემუშავების, ცვლილებების შეტანის, განმახორციელებლების განსაზღვრაში თანამონაწილეობის, მათთან სასწავლო გეგმის შესახებ კონსულტირების და საჭიროების შემთხვევაში პროფესიული სტუდენტების კონსულტირების უფლებამოსილება.
„კომპიუტერული ქსელის ადმინისტრირების“ საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის დარგობრივი კომპეტენცია დასტურდება მის სახელზე არსებული დოკუმენტებით.

5. **„კომპიუტერული ქსელის ადმინისტრირების“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში მითითებული საგანმანათლებლო რესურსის ხელმისაწვდომობა ელექტრონული სახით დასტურდება ბიბლიოთეკის ვიზუალური დათვალიერებითა და შერჩევითი პრინციპით რამდენიმე რესურსის გადამოწმების შედეგით.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

PDF Eraser Free

6. ექსპერტების მოთხოვნის საფუძველზე, დაწესებულების მიერ არ იქნა წარმოდგენილი სსსმ პროფესიულ სტუდენტების სასწავლო რესურსით უზრუნველყოფის შესახებ რაიმე ტიპის ინფორმაცია. თუმცა გასაუბრების დროს კოლეჯის წარმომადგენელმა განმარტა, რომ შემუშავებულია დოკუმენტი სახელწოდებით „ინდივიდუალური სასწავლო გეგმა“, რაც გასაუბრების ეტაპზე, ცენტრის მეშვეობით, გამოგზავნილი იქნა ექსპერტებთან. აღნიშნული დოკუმენტის თანახმად, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის *„ძირითადი მიზანია, მოხდეს ზუსტი განსაზღვრა თუ რა ტიპის ინდივიდუალური სასწავლო გეგმა უნდა შეიქმნას და რა ტიპის რესურსებია საჭირო იმისათვის, რომ პროფესიულმა სტუდენტმა მიაღწიოს სასწავლო შედეგს“.*

   აღსანიშნავია, რომ დაწესებულების წარმომდგენელთან გასაუბრების შედეგად, ექსპერტების შეფასებით, დაწესებულებაში გააზრებულია სსსმ პირების მიერ, მათი მოთხოვნილებების შესაბამისად ადაპტირებულ, პროგრამით/ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან წვდომის საჭიროება. ასევე, შესწავლილი რეგულაციის ჩანაწერით გარკვეულწილად ნაჩვენებია შემხვედრ საჭიროებებზე რეაგირების წინაპირობა.

   <u>თუმცა ექსპერტების მოსაზრებით, მეტი სიცხადისთვის, სასურველია დაწესებულებამ რეგულაციაში დააზუსტოს შესაბამისი პუნქტები - განმარტოს/აღწეროს რესურსების ადაპტირების/დამატებითი მომსახურეობის შემთხვევები და განსაზღვროს პროცესზე პასუხისმგებელი პირ/ები/ი.</u>

7. ექსპერტების მირ მოთხოვნილი პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის „კომპიუტერული ქსელის ადმინისტრირება“ ბიუჯეტი ითვალისწინებს შემოსავლის ორ სახეობას: სწავლის საფასური და შპს საქართველოს უნივერსიტეტის დონაცია, ხოლო ხარჯვითი ნაწილი მოიცავს პროფესიული განათლების მასწავლებლის, პროგრამის ხელმძღვანელის და მუდმივი აკადემიური პერსონალის ადმინისტრაციის ანაზღაურებას, მატერიალური რესურსით უზრუნველყოფას, კომუნალურ იჯარას, მარკეტინგსა და საზოგადოებასთან ურთიერთობას და პერსონალის განვითარებისა და საოფისე ხარჯებს. შემოსავალი გაანგარიშებულია 12 პროფესიული სტუდენტზე, თუმცა არ რის გათვალისწინებული ვაუჩერული დაფინანსება, მიუხედავად იმისა რომ დაწესებულების წარმომადგენლებმა განმარტეს, რომ აღნიშნული სახის დაფინანსება მათთვის ხელმისაწვდომია.

   აკადემიური საბჭოს 2021 წლის 1 თებერვლის N01/21 ოქმის მონაცემებით, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მიერ დაწესებულებისთვის მისაღები პროფესიული სტუდენტის დადგენილი 15 რაოდენობიდან, მიმდინარე ეტაპზე, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „კომპიუტერული ქსელის ადმინისტრირება“ ირიცხება 2 პროფესიული სტუდენტი (თავდაპირველად ჩაირიცხა 3 პროფესიული სტუდენტი).

   ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე - ბიუჯეტის 12 სტუდენტზე გაანგარიშება და მიმდინარე ეტაპზე არაუმეტეს 2 პროფესიული სტუდენტის არსებობის გამო, გასაუბრებისას დაისვა პროგრამის ფინანსური მდგრადობის საკითხი, რაზეც დაწესებულების წარმომადგენლებმა განმარტა, რომ კოლეჯის მიერ განხორციელებადი პროგრამების განხორციელების მდგრადობა უზრუნველყოფილია საქართველოს უნივერსიტეტის დონაციით. აღნიშნულის თაობაზე 2019 წლის 14 სექტემბერს შედგენილია შეთანხმება შპს „საქართველოს უნივერსიტეტსა“ და შპს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

„საქართველოს უნივერისტეტის პროფესიულ კოლეჯს“ შორის და ითვალისწინებს შემდეგს: *„იმ შემთხვევაში თუ მოხდება საქართველოს უნივერსიტეტის კოლეჯის საქმიანობის შეწყვეტა (იქნება ეს ფინანსური თუ სხვა სახის პრობლემები), საქართველოს უნივერისტეტი იღებს პასუხისმგებლობას რომ უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტებისთვის ალტერნატივის შექმნას, რომელიც მისცემს მათ რომ დაასრულონ შესაბამისი პროფესიული პროგრამა“.*

PDF Eraser Free

დაწესებულების ხელმძღვანელის მტკიცებით, პროგრამების განხორციელების მდგრადობას არ შეექმნება პრობლემა, პროგრამებზე ერთი აქტიური სტუდენტის არსებობის შემთხვევაშიც. დაწესებულების მიერ წარმოდგენილია საქართველოს უნივერსიტეტის მიერ კოლეჯისთვის კაპიტალის გაზრდის დოკუმენტი - ტექსტური რედაქტორის ფაილი, 2021 წლის 12 მარტის პარტნიორთა კრების ოქმი N04/21, სადაც აღნიშნულია კოლეჯის დირექტორის მოხსენება „მიმდინარე აქტივობების განხორციელებისა და განვითარებისათვის საჭიროა დამატებითი თანხების“ საჭიროების შესახებ.

ვაუჩერული დაფინანსების და უნივერისტეტის დონაციის კომბინირებით მიღებული შემოსავლის შემთხვევაში პროგრამის განხორცილებას ფინანსური თავლსაზრისით საფრთხე არ ემუქრება.

<u>თუმცა ექსპერტების შეფასებით, ვინაიდან წარმოდგენილი ბიუჯეტი არ მოიცავს დაწესებულების მიერ გაჟღერებულ ინფორმაციას წარმოდგენილი პროგრამების ფარგლებში ვაუჩერული დაფინანსების არსებობის შესახებ, აუცილებელია დაზუსტდეს შემოსავლების როგორც სახეობა ასევე ოდენობა და განისაზღვროს პროგრამის განხორციელების რენტაბელობის რეალური ზღვარი - ის მინიმუმი, რომლის შემთხვევაშიც პროგრამა ფინანსურად მდგრადია.</u>

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. 2019 წლის 14 სექტემბრის შეთანხმება შპს „საქართველოს უნივერისტეტსა და შპს „საქართველოს უნივერისტეტის პროფესიულ კოლეჯს“ შორის;
2. 2021 წლის 12 მარტის პარტნიორთა კრების ოქმი N04/21;
3. „ინდივიდუალური სასწავლო გეგმა“;
4. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ „კომპიუტერული ქსელის ადმინისტრირება“ ბიუჯეტი;
5. აკადემიური საბჭოს 2021 წლის 1 თებერვლის N01/21 ოქმი;
6. შპს ჯი-თი ჯგუფთან გაფორმებული ხელშეკრულება;
7. 2019 წლის 21 მაისის N01/1/19 ბრძანება და 2020 წლის 23 დეკემბრის N20/20 ბრძანება პროგრამის ხელმძღვანელების დანიშვნის შესახებ;
8. დისტანციური ჩართვის ფარგლებში ვიზუალური დათვალიერება;
9. დისტანციური ჩართვის ფარგლებში გასაუბრება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

PDF Eraser Free

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

XIV. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. გასაუბრების განრიგი;
დანართი 2. სტრატეგიული განვითარების გეგმა;
დანართი 3. 2019 წლის 14 სექტემბრის შეთანხმება შპს „საქართველოს უნივერისტეტსა და შპს „საქართველოს უნივერისტეტის პროფესიულ კოლეჯს“ შორის.
დანართი 4. 2021 წლის 12 მარტის პარტნიორთა კრების ოქმი N04/21.

29.04.21
თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: